მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILEP)

ატარებს საორიენტაციო შეხვედრას თემაზე:
„სასამართლო სისტემის გაშუქება და მისი მნიშვნელობა“

მარკ ვესტი, სასამართლო და მედია ურთიერთობის ექსპერტი
თარიღი: **15** ივნისი, **2012**
დრო: **12:00** -16:00
მისამართი: JILEP ოფისი - მარჯანიშვილის **5**, თბილისი

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ვინ დაესწრება აღნიშნულ შეხვედრას
sichkiti@ewmi-jilep.org

მოკლე მიმოხილვა

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა ყოველწლიური კონკურსი „მოსამართლის ოქროს ჩაქუჩის ჯილდო“.

კონკურსი მიზნად ისახავს მედიისა და ხელოვნების დარგში მოღვაწე პირების მიერ საქართველოს სასამართლოების მუშაობის გაშუქების შეფასებას.

ჯილდო გადაეცემა საუკეთესო ნამუშევრებს ხუთ სხვადასხვა კატეგორიაში ბეჭდურ და სამაუწყებლო მედიაში, რადიო, ბლოგსა და პლასტიკური ან საშემსრულებლო ხელოვნებაში.

ჯილდო პატივს მიაგებს მედიისა და ხელოვნების წარმომადგენელთა ძალისხმევას გააშუქონ სასამართლო და მოსამართლეები გონივრული, დროული, ზუსტი და ანალიტიკური მიდგომით, რაც ასევე იმავდროულად საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს.

საკონკურსო ნაშრომების შეფასების მიზნით შეიქმნება ჟიური, რომლის შემადგენლობაში იქნებიან: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (კონკურსის კომიტეტის თავმჯდომარე), ერთი მოსამართლე, ერთი ადვოკატი, ერთი მედიის სპეციალისტი, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) ერთი თანამშრომელი.
ჟიური გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინებს ნაწერის ან ვიდეო/აუდიო მასალის ხარისხს; მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხის ანალიზს; კონკრეტული თემის სიახლეს და მნიშვნელობას.

მონაწილეების მიერ წარმოდგენილი ნაშრომები აუცილებელია იყოს რადიოთი გადმოცემული, დაბეჭდილი ან შესრულებული 2012 წლის 1 იანვრიდან 28 სექტემბრის პერიოდის განმავლობაში და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გაეგზავნოს 2012 წლის 28 სექტემბერს არაუგვიანეს 5 საათისა.

გამარჯვებულები გამოვლინდებიან დეკემბერში, ყოველწლიურ ოქროს ჩაქუჩის დაჯილდოების ცერემონიაზე. მათ გადაეცემათ სერთიფიკატი და ჯილდო "მოსამართლის ოქროს ჩაქუჩი".